

**შპს „ალტრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1055867	971597	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572748	887897	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	21134		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	1301065	293832	3.3
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა	1301065	293832	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3235	11400	
სხვა არამატერიალური აქტივები	1949	1949	
ძირითადი საშუალებები	103417	115395	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	3059416	2282070	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები	276035	195016	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	29662	22495	
საგადასახადო ვალდებულებები	6120	15131	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	506530		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1332541	1495939	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	2150888	1728581	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	908528	553489	
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	908528	553489	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3059416	2282070	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2954050	2164726	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2150888	1728581	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2022 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ამონაგები	20504980	12879485
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	20504980	12879485
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-18863391	-12189102
საერთო მოგება	1641589	690383
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-225874	-177854
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-29595	-14952
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-95112	-133731
იჯარის ხარჯი	-46701	-35644
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-773239	-465456
სულ საოპერაციო ხარჯები	-1170521	-827637
საოპერაციო მოგება	471068	-137254
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	44581	-200501
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-173071	57224
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	342578	-280531
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	342578	-280531
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	342578	-280531
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	553489	834020
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	12461	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	908528	553489

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2022 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	329975	220205
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-38680	-68971
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-184083	450012
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	107212	601246
სავალუტო კურსის ეფექტი	-22942	14105
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	971597	356246
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1055867	971597

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2022 წ.

დირექტორი: _____ **ლევან საკანდელიძე**

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ალტრედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404518606. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ვ. გორგასალის ქ., კორ. 2, ბ. 17, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის #50.

1.2. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01024011087, ლევან საკანდელიძე	28%
405197781, სს დაკო	72%
სულ	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია ლევან საკანდელიძე, (პ.ნ. 01024011087)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა შავი და ფერადი ლითონის ჯართით საბითუმო ვაჭრობა.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო

კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019-2020-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 3.0976 ლარი;

1 EUR = 3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 3.2766 ლარი;

1 EUR = 4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	1055733	971394
ფული საბანკო ანგარიშებზე	135	203
სულ:	1055867	971597

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	484660	856088
გადახდილი ავანსები	63105	31609
მოთხოვნა თანამშრომელთა მიმართ	24984	200
სულ:	572748	887897

3.3. მარაგები

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
საქონელი	1301065	293702
სხვა მარაგები		129
სულ:	1301065	293832

3.4. ძირითადი საშუალებები:

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2020	31,559	39,651	4,784	828	76,822
შეძენა	68,015		602	355	68,971
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2020	99,574	39,651	5,386	1,183	145,793
შეძენა		6,825	9,995	797	17,616.38
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2021	99,574	46,475	15,381	1,980	163,410
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2020	(8,142)	(6,152)	(601)	(552)	(15,446)
დარიცხვა	(6,312)	(7,930)	(710)		(14,952)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2020	(14,454)	(14,082)	(1,310)	(552)	(30,398)
დარიცხვა	(19,597)	(8,499)	(1,499)		(29,595)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2021	(34,050)	(22,581)	(2,810)	(552)	(59,993)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2020	23,418	33,499	4,183	276	61,376
31 დეკემბერი 2020	85,120	25,569	4,075	631	115,396
31 დეკემბერი 2021	65,524	23,895	12,571	1,428	103,417

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.5. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სესხი რეზიდენტი კომპანიისგან	1332541	1495939
სულ:	1332541	1495939

3.6. სასამართლო დავები

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.8. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2021 წელს კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1055867	971597	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572748	887897	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	21134		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	1301065	293832	3.3
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა	1301065	293832	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3235	11400	
სხვა არამატერიალური აქტივები	1949	1949	
ძირითადი საშუალებები	103417	115395	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	3059416	2282070	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები	276035	195016	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	29662	22495	
საგადასახადო ვალდებულებები	6120	15131	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	506530		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1332541	1495939	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	2150888	1728581	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	908528	553489	
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	908528	553489	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3059416	2282070	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2954050	2164726	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2150888	1728581	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2022 წ.

დირექტორი: 

ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ამონაგები	20504980	12879485
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	20504980	12879485
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-18863391	-12189102
საერთო მოგება	1641589	690383
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-225874	-177854
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-29595	-14952
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-95112	-133731
იჯარის ხარჯი	-46701	-35644
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-773239	-465456
სულ საოპერაციო ხარჯები	-1170521	-827637
საოპერაციო მოგება	471068	-137254
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	44581	-200501
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-173071	57224
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	342578	-280531
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	342578	-280531
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	342578	-280531
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	553489	834020
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	12461	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	908528	553489

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2022 წ.

დირექტორი: 

ლევან საკანდელიძე

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	329975	220205
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-38680	-68971
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-184083	450012
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	107212	601246
სავალუტო კურსის ეფექტი	-22942	14105
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	971597	356246
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1055867	971597

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2022 წ.

დირექტორი:  **ლევან საკანდელიძე**

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.